აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისია

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №2

28/03/2024 **ქ. ბათუმი**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნოს კომისიის ლოგოს შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის შ 5 ქვეპუნქტისა და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის (უსკოს) ლოგოს შესარჩევი კონკურსი 2024 წლის 01 აპრილიდან 2024 წლის 25 აპრილის ჩათვლით.

2. საკონკურსო კომისია ლოგოს შერჩევას და გამარჯვებულის გამოვლენას ახდენს შემდეგი კრიტერიუმებისა და პირობების გათვალისწინებით:

ა) ლოგოს ესკიზის პროექტი შესრულებული უნდა იყოს კომპიუტერული გრაფიკის გამოყენებით;

ბ) ლოგოს კონცეფცია კავშირში უნდა იყოს საარჩევნო თემატიკასთან;

გ) არ უნდა იყოს მიმსგავსებული საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის, პოლიტიკური პარტიებისა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების ლოგოებთან;

დ) მარტივად უნდა თავსდებოდეს დაწესებულების ნებისმიერ საბრენდო პროდუქციაზე (სავიზიტო ბარათზე, კალამზე, ვებ-გვერდზე და ა.შ.);

ე) მარტივად უნდა შეიძლებოდეს ლოგოს ზომის ცვლილება, მისით მანიპულირება;

ვ) ლოგო უნდა იყოს: ვიზუალურად ადვილად აღსაქმელი, დასამახსოვრებელი თანამედროვე დიზაინის, მარტივი და უნიკალური;

ზ) ლოგო უნდა შეიცავდეს წარწერას - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია;

თ) ლოგოს უნდა ჰქონდეს ორენოვანი წარწერა - ქართულ და ინგლისურ ენაზე;

ი) გამარჯვებულ ლოგოზე უსკოს უნდა ჰქონდეს ექსკლუზიური საავტორო უფლება;

კ) ლოგო წარმოდგენილი უნდა იყოს ვექტორულ ფორმატში, CMYK ან RGB ფერების გამოყენებით.

3. გამარჯვებულ ლოგოს გამოავლენს სპეციალური საკონკურსო კომისია.

4. საკონკურსო კომისია საუკეთესო ნამუშევარს გამოავლენს კონფიდენციალური შერჩევის გზით.

5. კომისია არ გამოავლენს გამარჯვებულს, თუ კომისიის წევრების მიერ ვერ მოხერხდება გამარჯვებული ლოგოს შერჩევა.

6. საკონკურსო ნამუშევრები მსურველებმა უნდა წარმოადგინონ/გამოაგზავნონ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: info.sec.ge ან press@sec.ge.

7. კონკურსში გამარჯვებულისათვის გადასაცემი ჯილდო განისაზღვროს 3000 (სამიათასი) ლარის ოდენობით, კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით.

8. კომისიის მიერ კონკურსანტის შეფასება ხორციელდება 10 ბალიანი ქულათა სისტემით, საშუალო არითმეტიკული გამოთვლით, ამასთან გამარჯვებულად შეიძლება გამოცხადდეს ის ნაშრომი, რომელიც კომისიის მიერ მიიღებს არანაკლებ 7 ბალიან შეფასებას.

9. კონკურსი და მისი შედეგები გამოცხადდება უსკოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.sec.ge).

10. ერთი მონაწილის მიერ დასაშვებია არაუმეტეს ხუთი ნამუშევრის წარმოდგენა.

11. კონკურსში მონაწილეობა არ შეუძლია უსკოს თანამშრომლებს.

12. კონკურსი ტარდება ერთ ტურად.

13. გამარჯვებული ლოგოს პროექტი გადადის უსკოს საკუთრებაში საავტორო უფლებების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, ხოლო ყველა სხვა პროექტი მოთხოვნისთანავე უბრუნდება ავტორს.

14. ამ განკარგულების შესრულებას უზრუნველყოფს სპეციალური საკონკურსო კომისია.

15. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

16. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე

ტარიელ გოგიტიძე

კომისიის მდივანი